უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 4

20 13 წ. "01" 08

ქ.თბილისი

შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204555524) 2013 წლის 24 ნოემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
2. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.
3. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 31 ივლისის - 1 აგვისტოს №1 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
ბაკალავრიატი	1. ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) 2. ტურიზმი 3. სამართალი 4. ჟურნალისტიკა 5. ფსიქოლოგია	1.ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (მარკეტინგში, მენეჯ-მენტში, ფინანსებში) 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 3. სამართლის ბაკალავრი 4. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში 5. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში
მაგისტრატურა	1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი 2. საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირება (გთსუ-ს და დიდი ბრიტანეთის ბირმინგემის კოლეჯის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა) 3. საბანკო საქმე 4. რეკრეაციული ტურიზმი 5. კერძო/ბიზნეს სამართალი 6. სისხლის სამართალი 7. მასობრივი კომუნიკაცია 8. სოციალური ფსიქოლოგია	1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში 2. საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 3. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში 4. ტურიზმის მაგისტრი რეკრეაციულ ტურიზმში 5. სამართალის მაგისტრი კერძო/ ბიზნეს სამართალში 6. სამართალის მაგისტრი სისხლის სამართალში 7. სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში 8. სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ ფსიქოლოგიაში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**
1.	კინოტელეოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეოთხე	კინოტელეოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120კრედიტი